

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ


ପ୍ରକାଶକ୍ଷଣ

ԵՐԵՎԱՆԻ ՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՅԱԳՐԱՎԱԾՈՒՅԹ

გვერდის № 455

დამატების № 81

კვირა, 13 დეკემბერი 1915 წ.



სამართლა საგეფო. „სად განისვენებენ ჩვენი მამები? ნა. ლ. რემევერსისა.

გაგაცილე ღა..

გაგაცილე და ის იყო ვბრუნდებოდი სახლში ჩქარა,
რომ მომესმა ეს მუქარა:

„გააცილე? ვნახოთ! კარგი! მე მღალატობა? კარგი! ვნახოთ!
რომ ორთავევმ ივაგლახოთ?

მე დამტოვე და ჩემს ნაცვლად შეიყვარე ვილაკ ფლიდი?
მაშ გამცალე? მაშ შენც მცვლიდი?

ვაკ, შენს ლექსებს! თორემ მე რა? ვაკ, მგოსანო, შენი ბრალი
მას გრძნობა იქვს ხომ ჩამჭრალი?

მას არა ძევს გულახდილი არც ბაასი, არც იტრი,
ის გველია მშვენიერი.

ის შენს ვნებას დაუწმენდელს, უმანქოს და დაულალავს
გარყვნილ ჟინით შეგიბლალავს.

შენ გვინდა შენ უყვარხარ, როცა შენთან აგრე ნაზობს?—
თითილბაზობს... თითილბაზობს...

ან იქნება,—დღეის შემდგომ, რომ არ გრძნობდე თავსა ობლად—
აირჩიე თანამდებნობლად?..

ან იქნება შენი შუბლი უნდა დაფნიო მას მოერთო?
რა ტანჯვაა! ღმერთო! ღმერთო!

გაცელლუტებს, შე საწყალო, ის ფლიდია, მატყუარა,
გაგშორდება შენ თუ არა

სხვას მიჰყოდის შენს სიყვარულს, სხვას ჩატკოცნის-ჩაიხუტებს;
გაცულლუტებს... გაცულლუტებს...

და ის ქალი, ვინც თვალთ სხივებს კუელას ესკრის განდაგანა
ის ღირსია მგოსნის განა?..“

და რა უნდა შექნა, მითხარ! და რა უნდა მექნა, ნეტავ,
ჩემო სატრფოვ, ტან წერწეტავ,

ცილს გწამებდა, გესმის? ცილს! ცილს! ცილს გწამებდა, ცილს უგვანოს—
შენ ჩემს სატრფო-სათაყვანოს!

შე ავზევდი! მე ამიტყდა ნერვის ტოკვა, ხმის კანკალი,
ვეცი უბმოდ და... მოვკალი.

იცი როგორ? შენ გვინდია, მე იმ ქალსა ბევრი ვდიე: ვარდის კოშკში დავითწყვდიე,

ვარდის ხუნდი გაუყარე და... დავახჩე — ჰმ! ხელითა?! —
არა: ვარდის სურნელითა.

ၧ. ဂရိစာဆွဲ၏

وَلَمْ يَرْأَ

მატილდა სერაოსი.

ვნებათა ცეცხლი რომ ჩანელდებოდა ხოლმე, უამსა სიმშეიდგი
სა და სინაზისა, გულ-ახდილობა უყვარდა ფლავის და თვის ბავ-
შეობაზე მოკყენებოდა ხოლმე, ამ ნათელ უამზე, როცა მზე ისე კაშ-
კაშებს, გეალერებითან, გკოცნიან და კანფეტებში ყელამდინა გსვა-
მენ. აღელდებოდა ხოლმე ფლავია, ამ მოგონებათა ტალღებზე რომ
ატივტივდებოდა და, თითქვას ძილშიაო, თვალს შორს, შორს გააქ-
ნებდა და მოჰყენებოდა იმ სინაზეზე, რომელშიაც ჰქვევდა მას დი-

დის სიყარული, აღფრთოვანება მერჩე უეცარი სევდით შეიცვლებოდა, ხმა მიუსუსტდებოდა და ჩურჩულით იმეორებდა..

— ეჰ, დედიკო... დედიკო...

მაგრამ მალე, თითქოს ჰუსტონ ამ სევდის მოცილება, ჩეზარეს
წავლებდა ხელზე ხელს, თვალებში ჩასცეროდა და ეუბნებოდა:


— ჰა, გენაცვალე, მიამბე, მიამბე შენზე, შენს პატარაობაზე. გ.

ჩეზარე სიგარას ათავებდა, გაიღიმებოდა. და დამშვიდებული
და კმაყოფილი მოუყვებოდა:

— Յո, սալուն, սալուն Տաղի ծացացո, սալուն Առըթօ-
պըլքի, Արըլքի հոմ! Թորիս լա գատացօ.

Digitized by srujanika@gmail.com


ରୂପାତିକ୍ଷେତ୍ରରେ ଆଶାକାଳୀନୀୟ



მოხსენება მიაწვდა!..

იერიშის მოლოდინში.

დასავლეთის ასპარეზი



ინგლისელთა ბატარეა ბრძოლის დროს პოზიციას იცვლის.



ჩიხეთის ახალი იმპერატორი იუსტინიანი.



პრაპ. გასილ ექვიმიშვილი
(დაჭრილია).



უნგრე-აფიც. მიხეილ ანდრიას ძე რაზმაძე
(მოკლულია).

— სხვა არაფერი რაღა!

— არაფერი, ჩემი სიხარული.

— მაშ... ჩაპლუნავდა ფლავია თავს,— შაშ მიამბე შენს ბიჭი-
კოზე.

ჩეხარე ერთს წუთს ჩაუიქრდებოდა, უნდობლად შესკეროდა
ფლავიას. მაგრამ მის თვალებში ისეთი წრფელი ცნობის მოყვარუ-
ბა ენთო ხოლმე, ისეთი თანაგრძნობა, ყურადღება, რომ იქვი გაე-
ფანტებოდა და ჩეხარე ამაყი, კამაყოფილი ლიმილით მოუყვებოდა
თავის პატარა ბიჭიზე. იმას პალლო ერქვა, როგორც პაპას. არ უნ-
დოდა „ბებე“ დაეძახათ, რაღან უკვე ათი წლისა იყო.

— იმასაც შენისანა ქერა თმა აქვს, გრძაცვალე? ეკითხებოდა
ფლავია და გატვრენილი მიუგდებდა ყურს.

— ქერა აქვს, ძორი ქერა და ხუჭუჭი, მაშ! მშარობს, ჭინ-
ჭილიანობს, როცა ვეუბნები ტუფილი ქოჩორი გაქვს გაკეთებული
შეთქი. ძალიან ერთორება ხუმრობა და არ უყვარს, როცა კაცი
ეხორმება. კი არა სტირის, მაგრამ ფერი წაუვა, მიჯდება კუთხეში
და ჩაფიქრდება. რომ დაუძახებ, პასუხს არ გაგცემს. დანალვლიან-
დება როგორც დიდი.

— მერე იქმნება სუსტი აგებულებისა და იმიტომ, დაღონე-
ბული ეკითხებოდა ფლავია.

— არა, ის მხოლოდ მგრძნობიერია, შეტად შგრძნობიერი. უნდა
როგორმე გადავაჩიო, თორემ უბედური იქმნება ცხოვრებაში.
ვა შენს მტერს, თუ მიეჩია ძლიერ სიყვარულს, ძლიერს სურვი-
ლებს. ძლიერ დაიტანება, თუ ვერ მისწვდა მას, რაც უყვარს და
რაცა ჰსურს.

მდგრადი ჩამოვარდებოდა ხოლმე უხერხული. ბაასი სიმშვი-
დის და სინაზის ხასიათსა ჰკარუვდა. ამაღლა სცდილობდა ხოლმე
მერმე ჩეხარე ლცარაკი განეახლებინა: ყოველს წუთს, როცა ჩიმო-
ავდებდა ისევ ბაასს, პატარა ბიჭუნიას სახის გვერდით წამოიჭრე-
ბოდა სახე იმის ახალგაზრდა დედისა, რომელიც იმას და ფლავიას
მოეტყუებინათ. ცოლის სახელს ვეღარ ახსნებდა ხოლმე იმ ქალის
ხათრის გამო, რომელიც უკვე აღარ უყვარდა და იმ ქალის პატი-
ვით, რომლის სიყვარული გულს ჩარჩინდა. ჩეხარე გაჩუქრდებოდა
ხოლმე. მაშინ ფლავია სწრაფად წამოდგებოდა, სწრაფად მივიღოდა
მასთან და ნაზი, ქალური ალერსით უებდებოდა:

— მერე რატომ ერთხელ არ მოიყვან შენს ბიჭიკის ჩემთან?
როცა ფლავიამ პირეველად განუცხადა ასეთი უცნაური სურვი-
ლი, ჩეხარემ აღშფოთებული მიუგო:

— სისულელეა ეგ, სისულელე.

მაგრამ ფლავია არ ეშვებოდა და ყოველს წუთს, როცა კი ჩე-
ხარე მოლბებოდა და სინაზის ტალღებზე ატივტივდებოდა, დაბე-
ჯითებით უმეორებდა თავის სურვილს. ამ უინმა ჩეხარე ბოლოს
მოთმინებიდან გამოიყვანა და წყვინით უთხრა:

— ახილებული ხარ, ღმერთმანი. ი ბიჭი დედის ხელშია და ის
არ გამოუშვებს შენთან. ეს უნდა იცოდე ვგონებ.

უსიმოვნება მოჰყენა ამას. ფლავია ჩეხარეს აბრალებდა — შენი
ბრალია სულ, რომ ცოდვას ჩავდივართო, სტიროდა, სასოწარკვეთი



შიმონ (ბიჭიკო) მდინარე
(მოკლულია).

ლი იმტვრევდა ხელებს, ჰქონდა თავის ბედს და თავიანთ პირ-
ვილ შეხედობის უამს; მთელს თავის ვარამს ანთხევდა, ცხოვრებას
იწყებლიდა, იმცირებდა თავს გვიანი წუწუნით — რა მრჯოდა, რა
ძალა მაღდგა, რად მიგარეოვე ამის გულისოფის ბედნიერი, მშეიდი, პა-
ტიოსანი ცხოვრებაო. ჩეზარე სცდილობდა დაემშეიდებინა, ენუგე-
შებინა კოცით, უმეორებდა რალაც ბუნდოვან, ნუგეშიან სიტყვებს
— გრძნობდა, ფლავია მართალი იყო, — ეალერსებორდა, ვით ავად-
მყოფს გორგნას, ულოლიავებდა, თითქოს აძინებსო, ბოლოს შე-
პირდა ბარშეს მოგიყვანო.

— მერე, ჩემთან დაარჩენ? — შეეკითხა ფლავია.
— დაგარჩენ, დავარჩენ, გენაცვალე, ოლონდ ნუ იტირებ და!
— დაარჩენ მაშ, დაარჩენ მთელი საათი?

— ჰო, დავარჩენ, ჩემო მტრეცო.

— დაარჩენ?! ო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლევ, სიხარუ-
ლო ჩემო!!!

*

— ია, პალლო, დეიდა, შენი ნახვა რომ უნდა, — უთხრა ჩეზა-
რებ ბავშვის და წინ შემოუშვა.

— ბავშვმა მაყვალი თვალით შექვედა ფლავიას და ოდნავ გაი-
ლიმა.

— თვ, რა ტურფაა, მშვენიერი განცვიფრებული და ალფრიო-

ვანებული გადაკედო ხელი ხელს ფლავიამ და ეს სიტყვები წარმოს-
თქვა დაბარი ხმით, მერმე კი ჩეზარეს წასურჩეულა ყურში: ჩეზარე,
ჰკიოხე — უნდა ჩემი კოცნა?

— პალლო, დეიდას, აკოცებ?

— ვაკოცებ, მაშ! მიუგო ბავშვმა და ალერსიანად მიიტანა
ბაგესთან ბეჭდებით მოელევარე ხელი ფლავიასი.

— ნახე, ნახე, თითქოს ზრდილი რაინდიან. ყოჩალ, პალლო! —
ამაყად სტეფან მამაშ, დარჩები დეიდასთან, მანამ საქმეზე მივირბენ-
დე აი აქ ახლოს?

— მირე, მალე მობრუნდები, მამილო?

— მალე, მალე, გენაცვალე.

— რაკი ბავშვი იყო, ხელი არ ჩამოართეს, ისე, სტრა-
ფად გადავლეს მხოლოდ ერთმანეთს თვალი. ფლავიამ ბავშვს ხელი
მოჰკიდა, გაიყვანა სასტუმრო თახაში, შეუჩე მიიყვანა ახლილ აიგან-
თან. ბავშვი მის წინ გაკიმული იდგა, მუქ-მწევანე ხავერდის ტანისა-
მოსში გამოწყვობილი და ხელში ქუდისა ჰსრესდა.

— მამის თვალები გაქცეს, მამის, — წაილაპარაკა ფლავიამ და
ხელზე ალერსით ნელა დაუსვა ხელი.

— ჰო, მაგრამ ტუჩებში კი დედასა ვევეარ, — მიუგო ამაყად
ბავშვმა.

— მერე, რა, არ გინდა მამასა ჰევადე? ყოყმანით ჰევითხა ფლა-
ვიამ.

— მამა ლამაზია, მაგრამ დედა უფრო ლამაზი, გრძელი,
გრძელი თმა აქვს და პატარა ხელები. რა, დეიდა, განა დედოკოს
არ იცნობ?

— არა.

— მერე რატომ?

— რა ვიცი რატომ, მიუგო ფლავიამ და თავი ძირს დაპხარა,
რადგანაც თვალები ცრემლით აეცს.

პალლომ თვალები გააჭურა, გაჩურდა. ფლავია წამოდგა,
რომ კანფეტი მოეტანა. ბავშვმა ლიმილით უარი სტეფან, კამთეტებს
ჭი დასკეროდა, ისე, როგორც ზრდილი ბავშვი უარს ამბობს ხოლ-
შე იმაზე, რაც ისე მოსწონს.

— რატომ არ ილებ, პალლო? ჰევითხა ფლავიამ.

— არა, მადლობას მოგახსნებ.

— ჰო, მაგრამ თუ მოგწონს ილებ, პალიქო. რა, სკოლაში და-
გაჩვიეს მაგ უარს და ხათრი-მათრს?

— არა, სკოლაში კი არა, დედამ. სკოლაში არ დავდივარ.

— მაშ ვინ გასწავლის?

— დედიკო. სამ საათამდე ძლიერ მოწყინებოდა მარტოკა.
თორმეტ საათამდე მასწავლის.

— მერე, თორმეტე?

— თორმეტე მე და დედა ვსაუზმობთ.

— მარტოკა საუზმობთ?

— მამა ხანდისხან არ მოდის ხოლმე საუზმეზე. არა სკალიან,
ბევრი, ძლიერ ბევრი საქმე აქვს.

პატარა ხანს მდუმარება ჩამოვარდა.

— ჰა, აიღე, გეთაყვა, აიღე, პალლო, კამთეტები.

— არა, ბევრია, მიუგო ბავშვმა უკანასკელი ყოყმანით.

— ბევრია და ამხანაგებს გაუყავი!

— ამხანაგები არა მასაც.

— თუ არა გყავს, მაშ ვისთანა თამაშობ?

— დედასთან ვთამაშობ, როცა თამაშის გუნებაზეა ხოლმე.

— მერე მუდამ არ არის თამაშობის გუნებაზე?

— არა.

— მერე რატომ?

ბავშვმა შექხედა და გაჩურდა. ფლავიას სახეზე თვით ელვამ,
საშინელების აჩრდილმა გადაურჩინა, — მაგრამ არა, ბავშვმა არ იცო-
და, არაფერი შეეძლო სცოდნოდა, კითხვის ვერ მიუხდებოდა.

— მაშ მოწყენილი ხარ ხოლმე? კვლავ გამოელაპარაკა ფლა-
ვია და თავისუფლად ამოიხრა, თითქოს გულიდან ლოდი მოშორაო

— ეი, მოწყენილი რად ვიქმნები, მხიარულადა ვარ ხოლმე. დედა
ჰელი ჰელიანობს, როიალზე უკრავს. მე კი სურათობს ისინავ, ხის
„ეტბიკებით“ ვთამაშობ, იცი, აი ხუხულას რომ ასეი
ფანჯარაში ვიყურები.

— და მერე მარტო, სულ მარტო მარტო ხართ ულმე?

— მაშ. მამაც ჩვენთან უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას უუ, იმ-
დენი საქმე აქვს.

— მერე ვინ გითხრა ბევრ იაშე აქვსო?

— ვინ მითხრა და დედამ.

ჰა!

— ხანდახან დედა ზღაპრებს მომიყვება ხოლმე, როცა მომეწ-
ყინება. მაგრამ იმისი ზღაპრები სულ ნალვიანია და მე ვტირი
ხოლმე. ჰენ არ იცი სასაცილო ზღაპრები?

— არა, გენაცვალე, არ ვიცი. დედა ზღაპრებს სალამოთი გი-
ამბობს ხოლმე?

— ჰო, სალამოთი, თეატრში მინდა ხოლმე წასვლა; ერთხელ
მამამ მე და დედა წავიყვანა განა! მაგრამ რაკი მამას დრო არა
აქვს, ეხლა ადრე, ძალიან ადრე დავიძნებთ ხოლმე. მამა გვიან მო-
დის შინა, აი სულ რომ დაღამდება ხოლმე და ნელა, სულ ნელა შე-
ვა მეორე თახაში, რომ არ გამოვგალიოს, მაგრამ დედას არა სძი-
ნავს, დედას ესმის კველაფერი. ხანდისხან არც მე მძინავს. მაშინ ჩუ-
მად მეტყველი ხოლმე — აგრი მამაო. მერმე, როცა მამა ჩვენთან შე-
მოვა, რომ მაკოცოს, ჩვენ თვალებს დაგუჭუჭავთ ხოლმე, ვითომდა
გვინიანსო.

— მერე, მამა გაკოცებს ხოლმე?

— მაშ, და მერე ფეხის წვერებზე გადის.

— დედასა? დედას კი არა ჰელცნის?

— არა, მიუგო ბავშვმა და ჩაფიქრდა.

— მაშ დედასთან ერთ თახაში გინიანს?

— დასხ. წინად ცალკე მემინა. მაგრამ მამა მოელი თვე მი-
დიოდა სხვაგან, დედას მარტოკა ეშინოდა და ჩემი საწოლი თავის
თახაში გადმოატანინა. მას უკან იქ კი დავრჩი.

ფლავიას თითქოს გული წავიდათ, სავარძელში გადაესვნა. ბავშვი შექრთალი, გაკვირვებული შესცემროდა. ქალი ჩუმად იჯდა,
უმოძრავოდ. შეეშინდა პალლოს ამ ყვითელი დედასი. ბავშვი ქუდს
ხელში ატრიალებდა თავისდაუნებურად. უნდოდა, უნდოდა მამა ჩქა-
რა დაბრუნებულიყო. ფლავია ბოლოს შეხტა, თავი აიღო და იმო-
დენი ტანჯვა და ნალევლი აღმეტდოდა სახეზე, რომ ბავშვმა ხელე-
ბი გაუწიდა, თითქოს თავისი დედა არისო და წარმოსთვევთავა „რა,
დეიდა, რა იყო?“ ფლავიამ ქვითევითი მორთო, ჰელცნიდა, გხევე-
ლა გაკვირვებულს ბავშვს და ცრემლით უნამავდა სახესა და კისერს.

— ნუ სტირი, დეიდა, ნუ სტირი მაგრე. აი ჰანავ, გაიღლის.

— არა, არა ვტირი, არა. როდილა ვტირი. მაკოცე, გენაცვა-
ლე, მაკოცე, როგორც დედიკოსა ჰელმე.

ბავშვმა ხელები კისერზე შემოპენია და მაგრა ჩაკოცნა.

— მშვიდობით, გენაცვალე, მშვიდობით. ერთ წუთს მოიცადე
აქა. მამა ეტლავე მოვა. მე საქმე მაქეს, უნდა წავიდე.

— ვუთხრა, დეიდო, დედას, რომ აქ ვიყავი?

— რა, რადა ვკითხავ მაგას?

— იმიტომა, რომ მამამ მითხრა არსადა სთქვაო. ფლავია ერთს წუთს ჩაფიქრდა, მერმე, თითქოს იჭეს ხელი
ჩაუქნიაო, უთხრა სწრაფად.

— ჰო, უთხარი, უთხარი დედას — ფლავიასთან ვიყავითქო...
ერთს წამს ლამაზი ხელი ბავშვს ხუჭუჭე თმაზე დაადო, თით-
ქოსა ჰლოცავსო და გამოვიდა.

*

იმ დღიდან ფლავია და ჩეზარე ერთმანეთს აღარ შექვედრიან.
სანგანიდე.